

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
 ტექნიკური და სამშენებლო
 ზედამხედველობის სააგენტო



**PUBLIC LAW LEGAL ENTITY
 TECHNICAL AND CONSTRUCTION
 SUPERVISION AGENCY**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020138850288116

№ 204-04

01 / დეკემბერი / 2016 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44დან-პკ.950+18-მდე) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 53-ე მუხლის მე-5² პუნქტის შესაბამისად და 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.შეთანხმებულ იქნას დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44დან-პკ.950+18-მდე) კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

2.გაიცეს მშენებლობის ნებართვა დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44დან-პკ.950+18-მდე) შემდეგი პირობებით:

ა) 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით სსიპ-ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილი იქნას ამ ბრძანების დანართ N1-ში მოცემულ, სამშენებლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების) კორდინატებში მითითებულ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს იმ მიწის ნაკვეთი/ნაკვეთებზე, რომლებზეც სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილ იქნება საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი.

3.გაიწეროს მშენებლობის განხორციელების შემდეგი ეტაპები:

ა)მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:

ა.ა)ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

ბ)მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგის სამუშაოები:

ბ.ა)ნაგებობების მიწის (თხრილების მოწყობა) სამუშაოები;

ბ.ბ)ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები;

ბ.გ)ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

ბ.დ)ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;

ბ.ე)ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან (ანძების მონტაჟი);

ბ.ვ)ელექტროგადამცემი სადენების მოწყობის სამუშაოები;

ბ.ზ)ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;

ბ.თ)კეთილმოწყობის სამუშაოები.

4.მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი სათანადო ეტაპის დასრულების შემდეგ წერილობითი სახით წარმოადგინოს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში;

5.მშენებლობის ნებართვა ძალაშია 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, თ. ჭავჭავაძის ქ. №10ა);

7.ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

ს „ენერგოტრანსი“-ს 2016 წლის პირველი ნოემბრის №635 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

სიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილის ასტამურ აჩბას 01.12.2016 წლის 09/04 მოხსენებითი ბარათი.

უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე